

შპს „ლე გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლგ გრუპი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ლგ გრუპი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით აღნიშნული მარაგების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 9,600 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვალიერებას. გარდა მიწისა და შენობისა, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით აღნიშნული ძირითადი საშუალებების რაოდენობებისა და შესაბამისი ღირებულების დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 4,998 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავრწმუნდით გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულებით შეფასების სისწორეში. გაცემული სესხების ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,906 ათას ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, რამდენად საჭიროებდა ურთიერთდამოკიდებულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთები კორექტირებას.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შემდეგ ნაწილში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი უარყოფითი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლები ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსაზრებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვეთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ჯიბო მელაშვილი.

31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

ჯიბო მელაშვილი
შპს საკონსულტაციო კომპანია აი დი ქონსალტინგ

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვეთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონიერულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის ჯიბო მელაშვილი.

31 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

ჯიბო მელაშვილი

შპს საკონსულტაციო კომპანია აი დი ქონსალტინგ




შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,327	8,585
გრძელვადიანი გაცემული სესხი	5	2,799	-
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,127	8,585
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	9,600	10,015
საგადასახადო აქტივები	7	957	1,499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,950	3,722
ფული და ფულის ექვივალენტები	9	254	1,831
მოკლევადიანი გაცემული სესხი	5	107	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,868	17,066
სულ აქტივები		23,995	25,652
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		13,906	11,332
სულ კაპიტალი		13,908	11,334
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,027	3,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,027	3,104
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	10	3	5
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	7,803	11,039
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	248	165
საგადასახადი ვალდებულებები		7	5
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,060	11,214
სულ ვალდებულებები		10,087	14,318
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,995	25,652

ხელმოწერილი პირები:


დირექტორი



31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლგ გრუპი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2021 წ.	2020 წ.
შემოსავალი	13	19,250	13,878
თვითღირებულება	14	(14,765)	(10,703)
საერთო მოგება		4,486	3,175
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,075)	(902)
საოპერაციო მოგება		3,411	2,273
საოპერაციო ხარჯები		(91)	(592)
ფინანსური ხარჯები	16	(355)	(364)
ფინანსური შემოსავალი		119	-
არასაოპერაციო შემოსავლები	17	151	111
არასაოპერაციო ხარჯები		(84)	-
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	18	2	(320)
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე		3,152	1,108
მოგების გადასახადი		(40)	(79)
წლის წმინდა (მოგება)/ზარალი		3,112	1,028

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

31

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლგ გრუპი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	2	11,370	11,372
პერიოდის მოგება	-	1,028	1,028
დივიდენდის გაცემა	-	(1,068)	(1,068)
31 დეკემბერი, 2020	2	11,331	11,334
პერიოდის მოგება	-	3,112	3,112
დივიდენდის გაცემა	-	(538)	(538)
31 დეკემბერი, 2021	2	13,906	13,908

ხელმომწერი პირები:

დირექტორი



31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლგ გრუპი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2021 წ.	2020 წ.
მოგება დაბეგვრამდე	3,152	1,108
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	611	547
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(2)	320
საპროცენტო ხარჯი	209	258
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	414	(1,855)
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,684	(845)
კლება/(ზრდა) საკონტრაქტო ვალდებულებებში	(3,236)	6,252
(კლება)/(ზრდა) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	84	(1,125)
კლება/(ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში/(აქტივებში)	544	(1,387)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	3,460	3,272
გადახდილი მოგების გადასახადი	(40)	(79)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	3,420	3,193
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(353)	(1,107)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	-	(0)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(353)	(1,107)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	3,857	54
გაცემული სესხი	(2,906)	
გაცემული დივიდენდი	(538)	(1,068)
სესხის გადახდა	(4,994)	(1,166)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(4,581)	(2,181)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(1,514)	(95)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	1,831	1
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(63)	1,924
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	254	1,831

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლეო გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	8,327	8,585
გრძელვადიანი გაცემული სესხი	5	2,799	-
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,127	8,585
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	9,600	10,015
საგადასახადო აქტივები	7	957	1,499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,950	3,722
ფული და ფულის ექვივალენტები	9	254	1,831
მოკლევადიანი გაცემული სესხი	5	107	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,868	17,066
სულ აქტივები		23,995	25,652
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		13,906	11,332
სულ კაპიტალი		13,908	11,334
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,027	3,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,027	3,104
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	10	3	5
სახელშეკრულებო ვალდებულებები	11	7,803	11,039
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	248	165
საგადასახადი ვალდებულებები		7	5
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,060	11,214
სულ ვალდებულებები		10,087	14,318
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,995	25,652

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლო გრუპი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2021 წ.	2020 წ.
შემოსავალი	13	19,250	13,878
თვითღირებულება	14	(14,765)	(10,703)
საერთო მოგება		4,486	3,175
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,075)	(902)
საოპერაციო მოგება		3,411	2,273
საოპერაციო ხარჯები		(91)	(592)
ფინანსური ხარჯები	16	(355)	(364)
ფინანსური შემოსავალი		119	-
არასაოპერაციო შემოსავლები	17	151	111
არასაოპერაციო ხარჯები		(84)	-
მოგება/ზარალი საკუთროს სხვაობიდან	18	2	(320)
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე		3,152	1,108
მოგების გადასახადი		(40)	(79)
წლის წმინდა (მოგება)/ზარალი		3,112	1,028

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლეო გრუპი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	2	11,370	11,372
პერიოდის მოგება	-	1,028	1,028
დივიდენდის გაცემა	-	(1,068)	(1,068)
31 დეკემბერი, 2020	2	11,331	11,334
პერიოდის მოგება	-	3,112	3,112
დივიდენდის გაცემა	-	(538)	(538)
31 დეკემბერი, 2021	2	13,906	13,908

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

31 ოქტომბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ლეგ გრუპი“

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2021 წ.	2020 წ.
მოგება დაბეგვრამდე	3,152	1,108
<i>კორექტირება:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	611	547
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(2)	320
საპროცენტო ხარჯი	209	258
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	414	(1,855)
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,684	(845)
კლება/(ზრდა) საკონტრაქტო ვალდებულებებში	(3,236)	6,252
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	84	(1,125)
კლება/(ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში/(აქტივებში)	544	(1,387)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	3,460	3,272
გადახდილი მოგების გადასახადი	(40)	(79)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	3,420	3,193
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(353)	(1,107)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	-	(0)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(353)	(1,107)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	3,857	54
გაცემული სესხი	(2,906)	
გაცემული დივიდენდი	(538)	(1,068)
სესხის გადახდა	(4,994)	(1,166)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(4,581)	(2,181)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(1,514)	(95)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	1,831	1
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(63)	1,924
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	254	1,831

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

31 ოქტომბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ლგ გრუპი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 211328810), რომელიც დაარსდა საქართველოში 1996 წლის 20 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქუჩა #4, ხოლო ფაქტობრივი მისამართებია: თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქუჩა #4; თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი #14ა და თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ანდრონიკაშვილის ქუჩა #29.

შპს „ლგ გრუპი“-ს ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

კომპანიის მფლობელები რეგისტრაციის მომენტში იყვნენ :

დასახელება	წილი (%)
მალხაზი როსტიაშვილი	50
ოთარ მამულაშვილი	50

კომპანიის რეგისტრაციისას დირექტორად არჩეული იქნა - მალხაზი როსტიაშვილი და ოთარ მამულაშვილი

2017 წლის 4 ივლისს დირექტორად არჩეულ იქნა - მალხაზი როსტიაშვილი და გიორგი როსტიაშვილი. ასევე ცვლილება მოხდა კომპანიის მფლობელებში:

დასახელება	წილი (%)
მალხაზი როსტიაშვილი	50
გიორგი როსტიაშვილი	50

2011 წლის 09 მარტს კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართი გახდა - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქუჩა #4, მანამდე კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართი იყო: საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ჯანაშიას ქ N 18.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ზასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოირიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით

გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივაციული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა

გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

დასახელება	სასიცოცხლო ვადა
შენობა	25
მანქანა დანადგარები	10-15
ოფისის აღჭურვილობა	3-15

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ

კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს ფასეულობების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო ფასეულობების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვემდებარება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება				
ბალანსი 31.12.2019	3,341	6,955	309	10,606
შეძენა	20	1,066	28	1,114
ჩამოწერა	-	(28)	(33)	(61)
ბალანსი 31.12.2020	3,361	7,993	304	11,658
შეძენა	365	43	23	432
ჩამოწერა	-	(178)	(23)	(201)
ბალანსი 31.12.2021	3,726	7,859	304	11,889
ცვეთა				
ბალანსი 31.12.2019	252	2,138	193	2,583
ცვეთა	72	445	28	545
ჩამოწერა	-	(26)	(27)	(54)
ბალანსი 31.12.2020	324	2,556	194	3,074
ცვეთა	73	502	36	611
ჩამოწერა	-	(101)	(22)	(123)
ბალანსი 31.12.2021	397	2,956	209	3,562
ნარჩენი ღირებულება				
ბალანსი 31.12.2019	3,089	4,818	116	8,022
ბალანსი 31.12.2020	3,037	5,437	110	8,585
ბალანსი 31.12.2021	3,330	4,903	95	8,327

5. გაცემული სესხი

2021 წლის 1 აპრილს, შპს „ლეგ გრუპი“ იღებს ვალდებულებას გაცეს სესხი 4,000,000 ლარის ოდენობით შპს „არაგვი რეზორტზე“ ; წლიური საპროცენტო სარგებელი 10 პროცენტი, სესხის ვადა 96 თვე. გაცემული სესხი 2021 წელს შეადგენს 2,799 ლარს, ხოლო მისაღები პროცენტები 107 ლარს.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მასალები	8,252	7,234
მზა პროდუქცია	1,294	2,607
წარმოება	21	15
სხვა მასალები	33	158
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9,600	10,015

მასალების ძირითადი ნაწილი შეძენილია იმპორტით. ყველაზე მსხვილი იმპორტიორები არიან Prosel Metal Tic. Ltd. Sti და Hydro Yapi Sistem Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi. მასალების იმპორტი ხორციელდება თურქეთიდან.

7. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივის ძირითადი ნაწილი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენს 957 ათას ლარს. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,499 ათას ლარს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,979	3,464
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(1,807)	(1,720)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	1,172	1,744
გადახდილი ავანსები	739	1,950
წინასწარ გადახდილი მომსახურება	40	27
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,950	3,722

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31.12.2021	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
რეზერვამდე	885	48	52	154	150	1,690	2,979
რეზერვის პროცენტი	-	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	1	3	39	75	1,690	1,807

31.12.2020	<30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები							
რეზერვამდე	400	123	157	1,293	208	1,282	3,464
რეზერვის პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	100%	
რეზერვის თანხა	-	2	8	323	104	1,282	1,720

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	1,441
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	252	389
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1	1
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	254	1,831

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. სესხები

მოკლევადიანი სესხი	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
დარიცხული პროცენტი ლარში	3	5
სულ გრძელვადიანი სესხი	3	5

გრძელვადიანი სესხი	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სესხის ძირი თანხა ლარში	2,027	3,104
სულ გრძელვადიანი სესხი	2,027	3,104

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ დეტალური ინფორმაცია სესხის შესახებ:

სესხის გამცემი	სესხის მიღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის თანხა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი ვალუტაში 31/12/2021	სესხის ძირი ეროვნულ ვალუტაში 31/12/2021
-------------------	-----------------------------	--------------------------------	-----------------	--------	-------------------------	--	---

სს "პროკრედიტ ბანკი"	14/01/2018	25/12/2023	1,469	აშშ	7-10%	654	2,027
-------------------------	------------	------------	-------	-----	-------	-----	-------

სესხის გამცემი	სესხის მიღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	სესხის თანხა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ძირი ვალუტაში 31/12/2020	სესხის ძირი ეროვნულ ვალუტაში 31/12/2020
-------------------	-----------------------------	--------------------------------	-----------------	--------	-------------------------	--	---

სს "პროკრედიტ ბანკი"	14/01/2018	25/12/2023	1,469	აშშ	7-10%	947	3,104
-------------------------	------------	------------	-------	-----	-------	-----	-------

სესხი უზრუნველყოფილია საკუთრებაში არსებული ქონებით.

11. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სახელშეკრულებო ვალდებულებები	7,803	11,039
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	7,803	11,039

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლისგან მიღებული ავანსების თანხებს. ზოგიერთი მომხმარებლის მიერ გადახდილი ავანსი დაზღვეულია ბანკის საავანსო გარანტიებით, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტორს ავანსად გაცემული თანხის დაბრუნებით იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელმა არადაინიშნულებისამებრ განკარგა მიღებული თანხა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში იხილეთ დეტალური ინფორმაცია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მიღებული ავანსები უცხოურ ვალუტაში	7,780	11,011
მიღებული ავანსები ეროვნულ ვალუტაში	23	28
სულ	7,803	11,039

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
იურიდიული პირები	6,323	10,170
ფიზიკური პირები	1,480	869
სულ	7,803	11,039

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
სავაჭრო ვალდებულებები	248	165
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248	165

სავაჭრო ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენასთან, როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მომწოდებლებისაგან.

დეტალური ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ჩაშლასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	148	64
ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	42	30
კომუნალურებთან დაკავშირებული ვალდებულებები	37	24
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	1	13
საკონსულტაციო და სხვა ვალდებულებები	12	33
სხვა სავაჭრო ვალდებულება	8	2
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248	165

13. შემოსავალი

	2021 წ.	2020 წ.
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	103	132
შემოსავალი დამსხრეული მინის რეალიზაციიდან	457	324
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	18,438	13,241
შემოსავალი მომსახურეობიდან	239	167
საიჯარო შემოსავალი	14	14
სულ შემოსავალი	19,250	13,878

ქვემოთ მოცემულ ცხრილში იხილეთ მზა პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია:

	2021 წ.	2020 წ.
იურიდიული პირები	16,043	12,256
ფიზიკური პირები	2,395	985
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	18,438	13,241

	2021 წ.	2020 წ.
შემოსავალი უცხოურ ვალუტაში	16,592	10,058
შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში	1,847	3,183
შემოსავალი მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	18,439	13,241

შემოსავლების უდიდესი ნაწილი გენერირდება ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან.

14. თვითღირებულება

	2021 წ.	2020 წ.
მზა პროდუქცია	10,056	6,461
პერსონალის ხარჯი	3,048	2,722
ცვითა და ამორტიზაცია	575	514
მასალები	339	458
მომსახურება	208	234
კომუნალური	299	152
ტრანსპორტირება	139	73
საწვავი	89	54
სხვა ხარჯი	11	35
სულ თვითღირებულება	14,765	10,703

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021 წ.	2020 წ.
სახელფასო ხარჯი	884	700
საგადასახადო ხარჯი	82	78
სხვა ხარჯი	22	9
კომუნალური ხარჯები	43	35
დაზღვევის ხარჯი	3	2
საკონსულტაციო ხარჯი	3	40
ცვითის ხარჯი	37	39
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,075	902

16. ფინანსური ხარჯები

	2021 წ.	2020 წ.
ბანკის საკომისიო	144	76
საპროცენტო ხარჯი	209	258
სხვა ფინანსური ხარჯი	1	-
ჯარიმები და საურავები	0	31
სულ ფინანსური ხარჯი	355	364

საპროცენტო ხარჯი დაკავშირებულია სს "პროგრედიტ ბანკისგან" მიღებულ სესხსა და საკრედიტო ხაზთან. კომპანიამ 2018 წლის 14 იანვარს მიიღო სესხი 1,469 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 7-10% - მდე. სესხის დასრულების ვადა არის 2023 წლის 25 დეკემბერი. 2020 წელს აღნიშნულ სესხზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 250 ათასი ლარი, ხოლო საკრედიტო ხაზით სარგებლობასთან დაკავშირებულმა საპროცენტო ხარჯმა - 8 ათასი ლარი. 2021 წელს საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 209 ათასი ლარი.

17. არასაოპერაციო შემოსავლები

2021 წელს არასაოპერაციო შემოსავალი შეადგენდა 151 ათას ლარს, საიდანაც ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია Covid-19 -ის შედეგებთან და ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან.

2020 წლის მდგომარეობით არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 111 ათასი ლარი, საიდანაც ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია საშემოსავლო შედეგებთან. 2020 წელს კომპანიას საშემოსავლო შედეგები აღრიცხული აქვს 62 ათასი ლარით. გარდა ამისა, არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს საექვო და უიმედო მოთხოვნების ანარიცხების შემცირებით მიღებულ შემოსავალს, რომელმაც შეადგინა 32 ათასი ლარი.

18. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

2021 წლის განმავლობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი შეადგენს 269 ათას ლარს. ხოლო, მოგება საკურსო სხვაობიდან შეადგენს 271 ათას ლარს. 2021 წლის მდგომარეობით წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან შეადგენს 2 ათას ლარს.

2020 წლის განმავლობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი შეადგენს 1,018 ათას ლარს. ხოლო, მოგება საკურსო სხვაობიდან შეადგენს 698 ათას ლარს. 2020 წლის მდგომარეობით წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან შეადგენს 320 ათას ლარს.

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

2020 წლის ივლისში შპს ლგ გრუპმა სასამართლო დავა წამოიწყო შპს მაგთისთან. დავის მიზეზი იყო ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ნაკისრი ვალდებულების გადაუხდელობა. შპს ლგ გრუპმა შპს მაგთის დამატებით შეუსრულა სამუშაოები, რომელმაც შეადგინა 196 ათასი აშშ დოლარი.

შპს ლგ გრუპმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი შპს მაგთის წინააღმდეგ და მოითხოვა შესრულებული დამატებითი სამუშაოების ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა შპს ლგ გრუპის მოთხოვნა და მის სასარგებლოდ, შპს მაგთის გადასახდელად დააკისრა 196 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად. შპს მაგთიმ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სასამართლო სხდომა ჩანიშნულია 2022 წლის 30 ნოემბერს.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

186

156

2020 წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლებზე გაცემულია დივიდენდი 1,147 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო 2021 წლის განმავლობაში 538 ათასი ლარის ოდენობით.

21. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მიმდინარე წლის მოგება და გაუნაწილებელი მოგება.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2022 წელს კომპანიამ აითვისა პროგრედიტ ბანკის მიერ დამტკიცებული საკრედიტო ხაზიდან 547 ათასი აშშ დოლარი, საიდანაც დაფარა 347 ათასი აშშ დოლარი.

2022 წელს დივიდენდის სახით გაცემულ იქნა 1,148 ათასი ლარი.

2022 წლის თებერვალში დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა შეაფერხა რუსეთიდან მასალების, მინების იმპორტი. კომპანიამ შეძლო ალტერნატიული ბაზრებიდან ანალოგიური მასალების იმპორტი იმავე ფასში, თუმცა გაიზარდა ტრანსპორტირების და ლოჯისტიკის ხარჯები. ხსენებულ პრობლემას კომპანიის ოპერირებისთვის მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ლგ გრუპი საქართველოში მინის, ალუმინის და ქვის ფასადების მწარმოებელი ერთერთი დიდი კომპანიაა.

შპს ლგ გრუპი დაარსდა 1996 წლის 20 სექტემბერს. კომპანია უმეტესწილად ოპერირებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

შპს ლგ გრუპის გადაიარაღება და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში, რამაც დახვეწა და საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა იტალიიდან და ისრაელიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია უმაღლესი ხარისხის მომსახურეობას უწევს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს. შპს ლგ გრუპი წარმოადგენს ისეთი ცნობილი სამშენებლო კომპანიების ქვეკონტრაქტორს, როგორებიცაა შპს ანაგი, შპს ალიანსი ფრივილიჯი, შპს ელიტა ბურჯი, შპს ალიანსი, შპს ლისი დეველოპმენტი, შპს აქსის კონსტრაქშენი, შპს ჭავჭავაძე 49 და სხვა.

შპს ლგ გრუპს გააჩნია საქართველოში წარმატებულად ფუნქციონირების 26 წლის ისტორია.

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების იმპორტირებას ახდენს ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ლატვიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. იგი შემინვისათვის იყენებს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული მინის მწარმოებელი კომპანიის GUARDIAN GLASS-ის მინას, ხოლო პროფილებისათვის კი - ბელგიური REYNAERS-ისა და ნორვეგიული SAPA-ს ალუმინს.

შპს ლგ გრუპს აქვს სამი ქარხანა ქ. თბილისში. მინის დამუშავება ხდება სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე ქარხანაში, ალუმინის ჭრა და პროფილების აწყობა ვანის და ანდრონიკაშვილის ქუჩაზე, ხოლო ქვის დამუშავება კი ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე ქარხანებში.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 30 იანვრით დათარიღებული გერმანული კომპანია TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ გაცემული მენეჯმენტის ხარისხის სერთიფიკატი ISO 9001:2015.

ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8,327	8,585
გრძელვადიანი გაცემული სესხი	2,799	-
არამატერიალური აქტივები	1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,127	8,585
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9,600	10,015
საგადასახადო აქტივები	957	1,499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,950	3,722
ფული და ფულადი საშუალებები	254	1,831
მოკლევადიანი გაცემული სესხი	107	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	12,868	17,066
სულ აქტივები	23,995	25,652
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	13,906	11,332
სულ კაპიტალი	13,908	11,334
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2,027	3,104
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,027	3,104
მიმდინარე ვალდებულებები		
მიმდინარე სესხები	3	5
სახელშეკრულებო ვალდებულებები	7,803	11,039
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248	165
საგადასახადი ვალდებულებები	7	5
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8,060	11,214
სულ ვალდებულებები	10,087	14,318
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	23,995	25,652

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	2021 წ.	2020 წ.
შემოსავალი	19,250	13,878
თვითღირებულება	(14,765)	(10,703)
საერთო მოგება	4,486	3,175
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,075)	(902)
საოპერაციო მოგება	3,411	2,273
საოპერაციო ხარჯები	(91)	(592)
ფინანსური ხარჯები	(355)	(364)
ფინანსური შემოსავალი	119	-
არასაოპერაციო შემოსავლები	151	111
არასაოპერაციო ხარჯები	(84)	-
მოგება/ზარალი საკუთრივ სხვაობიდან	2	(320)
(მოგება)/ზარალი დაზღვევამდე	3,152	1,108
მოგების გადასახადი	(40)	(79)
წლის წმინდა (მოგება)/ზარალი	3,112	1,028

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია ქვის დამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარები, მომავალისთვის ვფიქრობთ ადგილზე მოვიპოვოთ და მაღალ დონეზე დავამუშავოთ ტუფის ქვა, რათა იგი აქტიურად გამოვიყენოთ შენობა-ნაგებობების მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. მომსახურების გასაწევად გამოიყენება თბილისში არსებული ქარხნები და შესაბამისი საწყობები.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2020-2021 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „ფინანსური მაჩვენებლები“.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურების ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 100 %-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020-2021 წლებში შესაბამისად შეადგენდა 139 და 140 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 12 ქალია.

შპს ლგ გრუპის სამარკო ნიშანია 26 წლის მანძილზე მისი ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, მომსახურების მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

5. რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

მომსახურების მიწოდებისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, დანარჩენებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საექვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

პროდუქციის რისკი

რისკები ძალზე იშვიათად დაკავშირებულია მომსახურების მიწოდების ვადებთან. შეძენილი ნედლეულისა და მასალების დაძველება როგორც წესი არ ხდება და შესაბამისად, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები უმნიშვნელო და არარსებელია.

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვერევასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.

სავალუტო რისკი

დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას. სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

31 ოქტომბერი 2022

დირექტორი

მ. როსტიაშვილი

ფინანსური დეპ. უფროსი

ა. ალიმბარაშვილი

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვრევასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.


სავალუტო რისკი

დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობა, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას. სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

31 ოქტომბერი 2022

დირექტორი

მ. როსტიაშვილი



[Handwritten signature]
[Handwritten signature]

ფინანსური დეპ. უფროსი

ა. ალიმბარაშვილი